წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N5

ქ. წალკა; 07.03.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ".

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები

დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 15 მარტისა საკრებულოს აპარატში წარმოადგნონ შესაბამისი დასკვნები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*

საქართველო. წალკის მუნიციპალიტეტი * GEORGIA. MUNICIPALITY OF TSALKA * 243125934